დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური
OFFICE OF INDEPENDENT INSPECTOR

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2024 წლის
მესამე კვარტალი

თბილისი
2024

სარჩევი

შესავალი ... 3
1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ... 4
2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ... 5
ავტორთა შესახებ ... 5
3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად ... 6
4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად ... 7
5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად ... 8
6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ ... 9
7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და ... 10
საქმეთა კატეგორიების შესაბამისად ... 10
7.1. საპროცესო ვადის დარღვევა ... 10
7.2. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით ... 10
7.3. სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა ... 11
7.4. სხვა გადაცდომის სახეები ... 11
8. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა ... 12
9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ ... 13
10. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ ... 14

შესავალი

წინამდებარე კვარტალური ანგარიში მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას 2024 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია საჩივრის ავტორთა, საქმეთა კატეგორიების, სასამართლო ინსტანციების, დისციპლინური გადაცდომებისა და მომზადებული დასკვნების შესაბამისად.

1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა 2024 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით განსახილველად მიიღო 35 დისციპლინური საჩივარი.

საანგარიშო პერიოდში ფორმის დაუცველად შემოსულია 21 განცხადება. განცხადების ავტორებს გაეგზავნათ საჩივრის ფორმა და შევსების დეტალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით, საჩივარი უნდა წარმოედგინათ.



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით, გაიგზავნა 49 წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, ცხელ ხაზზე შემოვიდა 40-მდე ზარი. ყველა მათგანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებით გაეწია შესაბამისი კონსულტაცია.

2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით და სასამართლოში მიმდინარე საქმეებში მათი სტატუსის შესაბამისად.[1]

2024 წლის მესამე კვარტალში საჩივრის ავტორთა უმრავლესობას წარმოადგენენ სასამართლოში მიმდინარე დავის მხარეები. მათმა საერთო რაოდენობამ საჩივრის ავტორთა 57% შეადგინა. წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობის მაჩვენებელი 37%-ია, ხოლო, დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრები 6%.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა საგამოძიებო ორგანოების შეტყობინების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინადადებაში ან/და ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თუ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.



[1] საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

2024 წლის მესამე კვარტალში შემოსული საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება და მათი პროცენტული მაჩვენებელი 65%-ს შეადგენს, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 26%-ია, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში მოსამართლეთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე საჩივრების 9%-ია წარმოდგენილი.[2]



[2] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამება საქმეთა კატეგორიას.

4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის მესამე კვარტალში საჩივრების 81% პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს შეეხებოდა, მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 8%, ხოლო მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ საჩივრების - 11% იყო წარმოდგენილი.



5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევისათვის წარმოებაში არსებული 35 საჩივარი 36 მოსამართლეს შეეხებოდა.[3] მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:[4]



შემოსული საჩივრების მაჩვენებლისა და აღნიშნულ საჩივრებში მოსამართლეთა შესახებ მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შემოსული საჩივრების 46% პირველი ინსტანციის სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს შეეხება. ამავე ინსტანციის ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 17%-ს შეადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 9%-ია წარმოდგენილი.

რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, საჩივრების 11% აღნიშნული ინსტანციის ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ იყო წარმოდგენილი. სამოქალაქო სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეების მიმართ წარმოდგენილი საჩივრები 3%-ს შეადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საანგერიშო პერიოდში საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 14% იყო წარმოდგენილი. ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საანგერიშო პერიოდში საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი.

[3] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსამართლე განიხილავს ორი ან სამი კატეგორიის საქმეს. ამასთან, ზოგიერთი მოსამართლის მიმართ წარმოდგენილია რამდენიმე საჩივარი. შესაბამისად, განსხვავდება მოსამართლეთა რაოდენობა შემოსული საჩივრებისა თუ კატეგორიებში მოსამართლეთა რაოდენობისგან.

[4] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამებოდა საქმეთა კატეგორიას.

6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს 21 სხვადასხვა სახის დისციპლინურ გადაცდომას. საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი საჩივრები მხოლოდ 4 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებას შეეხებოდა. მათი უმრავლესობა საპროცესო ვადის დარღვევასა და პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების შესაძლო ჩადენის ფაქტზე იყო წარმოდგენილი.

ამასთან, მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება სადავოდ იყო გამხდარი 8 საჩივარში.

20
- მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა

6
- მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

3
- მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

2
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი

7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

მნიშვნელოვანია ცალკე გამოვყოთ ინფორმაცია, წარმოდგენილ საჩივრებში, ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით რომელი გადაცდომის სახე ჭარბობს. წინამდებარე თავში წარმოდგენილია 27 დისციპლინურ საჩივარში მითითებული გადაცდომის სახეების ანალიზი და სტატისტიკა.[5]

7.1. საპროცესო ვადის დარღვევა

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 20 საჩივრის საფუძველზე.

საჩივრები წარმოდგენილი იყო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები განიხილავდნენ.[6]

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 15**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 4**	სისხლის სამართლის **საქმე - 0**	პირველი ინსტანცია - **19 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **0 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **1 საჩივარი**

7.2. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა 6 საჩივარში. აღნიშნული საჩივრების უმეტესობა შეეხებოდა რაიონულ/საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების წარმოებაში არსებულ საქმეებს.

საჩივრები წარმოდგენილი იყო სამივე კატეგორიის საქმეებზე.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 2**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 3**	სისხლის სამართლის **საქმე - 1**	პირველი ინსტანცია - **5 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **1 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **0 საჩივარი**

[5] რიგ საჩივრებთან მიმართებით, საქმეთა კატეგორიებისა და ინსტანციების რაოდენობა განსხვავებულია შესაბამისი გადაცდომის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობისგან, რადგან 1 საჩივარი შეიძლება ერთი კატეგორიის 2 ინსტანციის მოსამართლის მიმართ იყოს წარმოდგენილი ან პირიქით.

[6] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამებოდა საქმეთა კატეგორიას.

7.3. მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

დისციპლინური გადაცდომის სახე - მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა მსჯელობის საგანი გახდა 3 საჩივარში.

აღნიშნული საჩივრები წარმოდგენილი იყო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 2**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 0**	სისხლის სამართლის **საქმე - 1**	პირველი ინსტანცია - **3 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **0 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **0 საჩივარი**

7.4. სხვა გადაცდომის სახეები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 2 საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა - მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმას, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 0**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 1**	სისხლის სამართლის **საქმე - 1**	პირველი ინსტანცია - **2 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **0 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **0 საჩივარი**

8. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა 11 საჩივრის საფუძველზე მიიღო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 15 გადაწყვეტილება.[7] მათ შორის:

- ✓ 11 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი მხოლოდ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას შეეხებოდა;
- ✓ 1 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ;
- ✓ 2 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან არსებობდა დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;
- ✓ 1 გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ვინაიდან საჩივრის ავტორმა კანონით დადგენილ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი.

კანონიერების შემოწმების შეუძლებლობის საფუძვლით სრულად შეწყვეტილი 11 დისციპლინური სამართალწარმოება შეეხებოდა:

[7] გადაწყვეტილებები მიღებულია ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობა განსხვავებულია მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან. ასევე, განსხვავებულია კატეგორიების შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობა მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან.

9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადდა 23 დასკვნა 22 მოსამართლის მიმართ. აღნიშნული საჩივრები შეეხებოდა:

- ✓ საქმის განხილვის ვადის დარღვევის შესაძლო ჩადენის - 16 ფაქტს;
- ✓ პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების - 5 ფაქტს;
- ✓ აცილებაზე უარის თქმის -2 ფაქტს;
- ✓ უპატივცემულობის გამოხატვის - 3 ფაქტს;
- ✓ საქმის შედეგის გამჟღავნების - 1 ფაქტს.[8]

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 16**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 4**	სისხლის სამართლის **საქმე - 3**	პირველი ინსტანცია - **23 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **0 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **0 საჩივარი**

დამცველის დახმარების უფლებითა და დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია.

[8] რიგ საჩივრებთან მიმართებით, საქმეთა კატეგორიებისა და ინსტანციების რაოდენობა განსხვავებულია შესაბამისი გადაცდომის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობისგან, რადგან 1 საჩივარი შეიძლება ერთი კატეგორიის 2 ინსტანციის მოსამართლის მიმართ იყოს წარმოდგენილი ან პირიქით.

10. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განხილვის მიზნით ჩაატარა 2 სადისციპლინო სხდომა.

სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილი 391 საკითხი,[9] საიდანაც 351 საქმეზე მიიღო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის და 40 დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება[10].

აღსანიშნავია, რომ განხილული 391 საკითხიდან 133 საქმეზე რიგ ფაქტებთან მიმართებით არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაცია მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 35 საქმეზე დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაციას და მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, ხოლო 98 საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, რის გამოც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება. ამასთან, 274 საქმეზე არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაცია მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუმცა 2 საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენია. ამასთან, სხდომის გასაჯაროების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია.

---

[9] სხდომებზე განხილულ იქნა 2021-2023 წლებში წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე მომზადებული დასკვნები. გასათვალისწინებელია, რომ სხდომაზე წარდგენილი საკითხებიდან ერთი საკითხის ქვეშ შესაძლოა გაერთიანდეს რამდენიმე დასკვნა, ასევე, რამდენიმე საკითხი შესაძლოა შეიცავდეს ერთზე მეტ გადაცდომის სახეს, რომელზეც ინსპექტორის რეკომენდაცია იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული, შესაბამისად საკითხებისა და რეკომენდაციების რაოდენობა განსხვავდება ერთმანეთისგან.

[10] დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.